საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიები: პრაქტიკული გამოწვევები და საზოგადოებრივი ცნობიერების გავლენა

ანნა ოქროპირიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ ურიადმყოფელი

მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2026

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიების, არსებული პრაქტიკული გამოწვევებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გავლენის კვლევას საქართველოს კონტექსტში. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სამართლებრივი სტანდარტები, რომლებიც არეგულირებს ინფორმაციის თავისუფლების, საჯაროობის, გამჭვირვალობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს კონსტიტუციის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციებს, აგრეთვე გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი მეთოდი საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტების ჭრილში.

კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს ავტორის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა: „კითხვარი მოქალაქეთათვის - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოებრივი ცნობიერების კვლევა“. ნაშრომი ასევე მიმოიხილავს საჯარო დაწესებულებების პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს, კერძოდ: ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ტენდენციებს, არასრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევებს, ინტერესთა დაბალანსების მექანიზმის არასათანადო გამოყენებას. ანალიზში გამოყენებულია სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციის, მათ შორის IDFI-ისა და სოციალური სამართლიანობის ცენტრის ანგარიშები, რომლებიც ასახავს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიმდინარე მდგომარეობასა და ძირითად გამოწვევებს.

ნაშრომი აჩვენებს, რომ ინფორმაციის თავისუფლების ეფექტიანი რეალიზაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ადმინისტრაციული ორგანოების სამართლებრივ კულტურასა და პრაქტიკაზე, ისე მოქალაქეთა ინფორმირებულობასა და აქტიურობაზე. დეტალურად არის გაანალიზებული მედიისა და არასამთავრობო სექტორის, როგორც „საზოგადოებრივი დარაჯის“ (Public Watchdog) როლი საჯარო მმართველობის მონიტორინგში. ფინალურ ნაწილში ჩამოყალიბებულია პრაქტიკული

სტრატეგიები და რეკომენდაციები საჯარო მმართველობის სრულყოფისთვის. მათ შორის, უმთავრეს ინსტიტუციურ რეკომენდაციას წარმოადგენს საქართველოში დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს - საჯარო ინფორმაციის კომისრის აპარატის - შექმნა. ეს ორგანო გახდება სწრაფი მართლმსაჯულების გარანტი და ობიექტური არბიტრი საჯარო ინტერესსა და კონფიდენციალურობას შორის. ასევე, ხაზგასმულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სტანდარტის გადახედვის, საინფორმაციო არხების დივერსიფიკაციის (მათ შორის სოციალური მედიის გამოყენების), კანონმდებლობის ტერმინოლოგიური დაზუსტებისა და შშმ პირებისთვის სატელეფონო გამოთხოვის გზით ინკლუზიური გარემოს შექმნის აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: საჯარო ინფორმაცია, პერსონალური მონაცემები, სამოქალაქო ცნობიერება, საზოგადოებრივი დარაჯი, ინფორმაციის კომისარი.

Abstract

This thesis investigates the administrative-legal guarantees of access to public information, existing practical challenges, and the impact of public awareness within the Georgian context. The study analyzes both international and national legal standards regulating freedom of information, publicity, transparency, and personal data protection. Particular emphasis is placed on the regulations of the Constitution of Georgia, the General Administrative Code, and the Law of Georgia "on Personal Data Protection." Additionally, a comparative-legal method is applied in the light of international standards and European Court of Human Rights precedents.

The empirical foundation of the research relies on a quantitative study conducted by the author: "Questionnaire for Citizens - Survey on Access to Public Information and Public Awareness." The paper also reviews the systemic problems existing in the practice of public institutions, namely: tendencies to refuse the disclosure of information, instances of providing incomplete information, and the improper application of the mechanism for balancing competing interests. The analysis incorporates reports from various research organizations, including IDFI (Institute for Development of Freedom of Information) and the Social Justice Center, which reflect the current state and key challenges of access to public information in Georgia.

The study demonstrates that the effective realization of freedom of information significantly depends on the legal culture and practices of administrative bodies, as well as on citizen awareness and civic engagement. It provides a detailed analysis of the role of the media and the non-governmental sector as a "Public Watchdog" in monitoring public administration. The final section outlines practical strategies and recommendations for improving public governance. Among these, the core institutional recommendation proposes the establishment of an independent supervisory body in Georgia—the Office of the Information Commissioner. This body would serve as a guarantor of swift justice and act as an objective arbiter between public interest and privacy. Furthermore, the paper highlights the necessity of revising the qualified electronic signature standard, diversifying information channels (including the utilization of social media), clarifying legal terminology, and creating an inclusive environment for persons with disabilities through telephone-based information requests.

Keywords: Public Information, Personal Data, Civic Awareness, Public Watchdog, Information Commissioner.